



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 12

2018 წელი 19 თებერვალი

ქ.ბათუმი

### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №65, 66, 67, 70, 71 და 72 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და საქართველოს კანონი "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შემდეგი განკარგულებები:

ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ გურანდა დოლიძის არჩევის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №65 განკარგულება;

ბ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ იოსებ ბოლქვაძის არჩევის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №66 განკარგულება;

გ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ მინდია დიდმანძის არჩევის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №67 განკარგულება;

დ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №70 განკარგულება;

ე) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №71 განკარგულება;

ვ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №72 განკარგულება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №07 დადგენილების ამოქმედებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე